

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

05-06. 01.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, (სხდომის თავმჯდომარე);

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი; კონსტანტინე ნანოზაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუშია - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭილაძე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ზაურ ხვედელიძე - მონიტორინგის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ნანი შარუხია - სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა „სწავლის ძირის“ დირექტორი;
2. ნოდარ ნოზაძე - შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის

ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დამფუძნებელი;

3. ნანა ნოზაძე - შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დირექტორი;

4. ეკა კამკამიძე - შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დირექტორის მოადგილე;
5. მანანა გაბათაშვილი - შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდვარის“ დირექტორი;
6. ნათია მერებაშვილი - შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდვარის“ ხარისხის მართვის მენეჯერი;
7. აკაკი დუმბაძე - შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დაფუძნებელი;
8. ჟუჟუნა დიასამიძე - შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორი;
9. ნათელა მურადაშვილი - სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის დირექტორი;
10. მანანა ტარიელაშვილი - შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის დირექტორი;
11. მაკა ბედიაშვილი - შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის საზღვარგარეთთან ურთიერთობათა ხელმძღვანელი;
12. მარინე არაბული - შპს - ახალი ქართული გიმნაზიის დირექტორი;
13. ნინო ოქროჯანაშვილი - შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის დირექტორი;
14. მანანა ბაკურაძე - შპს - სკოლა - გიმნაზია „პირველის“ დამფუძნებელი;
15. ირმა სარდლიშვილი - შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის დირექტორის მოადგილე;
16. ნუნუ ავაგუმაშვილი შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის დირექტორი;
17. გულნარა დევდარიანი შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენელი;
18. მარიამ ფირანიშვილი - შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენელი;
19. ლია ნამორაძე. შპს - ივერიონის დირექტორი;
20. ნინო ციციშვილი შპს - სკოლა ფენიქსის დირექტორი;
21. მამუკა გვაზავა - შპს - სკოლა ფენიქსის აღმასრულებელი დირექტორი;
22. იანა ტორჩინავა - შპს - „აისის“ დირექტორი;
23. რევაზ გულაშვილი - შპს - აისის იურისიტი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

- დავით ჭეიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა იოსებ სალუქვაძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:40 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა „სწავლის ძირის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდვარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
5. სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
6. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
7. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
8. შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
9. შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
10. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
11. შპს - ივერიონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
12. შპს - სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
13. შპს - აისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
14. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ოქტომბრამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტოროზაციო განაცხადი
 - შპს - ილიონი;
 - შპს - გვირილა;
 - შპს - „აიფდდიემ სტაილი“;
 - შპს - „ინტეგრაცია“;
 - შპს - არმაზი XXI;
 - კავშირი გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის წალენჯიხის განყოფილება;
 - შპს - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახ. სამედიცინო ინსტიტუტი და კოლეჯი;
 - სპს - „დათო ბიწაძე“;
 - შპს - „სარანგი“;
 - შპს - „ანი-ცეტი“;
 - სპს - ბაგრატიონთა სახელობის კერძო სასწავლებელი სემე და ლუკავა;
 - შპს - „მადლი“;
 - შპს - თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის ცენტრი „პირამიდა“;

- შპს - „მამული“;
- ი.მ. „მარინა გიგიტაშვილი“;
- შპს - „ალ. ყაზბეგის სახ. კერძო გიმნაზია“;
- ი.მ. „ლევან აბაშიძის სახ. სკოლა-სტუდია“;
- შპს - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური კოლეჯი „ჰარმონია“;
- შპს - „ბალავარი“;
- სპს - „მეგალადა“;
- შპს - „გრანდი“;
- შპს - სკოლა-გიმნაზია;
- შპს - „მცირე აკადემია“;
- შპს - „იმპულსი“;
- შპს - ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „ვიტა“;
- შპს - „ლულუ“;
- შპს - „ფიქრი“;
- ი. მ. „აფხაზავა რევაზი“;
- ი. მ. „ალფონს დოდეს სახელობის ქართულ - ფრანგული სკოლა“;
- სპს - „იბერია-იოზაშვილი“;
- შპს - ცოდნა XXI;
- შპს - „განათლება“;
- ი.მ. - „დიდი ვარსკვლავი“;
- ასოციაცია „საქართველოს გამოყენებითი ფსიქოლოგიის კავშირი“;
- ასოციაცია „ფრენეს პედაგოგიკის ქართული ასოციაცია“;
- შპს - „ევროპული უნივერსიტეტი“;
- შპს - ქუთაისის ლიცეუმი „პირამიდა“;
- შპს - ჰუმანიტარულ - ტექნიკური უნივერსიტეტი;
- სპს - „პაატა ნინუა“;
- შპს - „თაობა“;
- შპს - „ჯიშარი“;
- შპს - „ოქროს საწმისი“;
- შპს - „ლასკარი“;
- შპს - „ლომისი“;
- შპს - თამაზ მუხაძის სახელობის უნივერსიტეტი „ივერია“;
- შპს - ხელვაჩაურის რაიონი, კახაბრის ზ/ს საშუალო სკოლა „ცოდნა 21“;
- შპს - „ევრიკა“;
- შპს - „ცოდნა - მრავალდარგოვანი კოლეჯი“;
- შპს - მრავალპროფილიანი სკოლა - ლიცეუმი „საუნჯე“;
- შპს - სოციო - კულტურული საგანმანათლებლო ცენტრი „სათავეები“;
- შპს - „ცოდნის კარიბჭე“;
- შპს - „ბენეფისი“;
- ი. მ. „ბესიკ ბაუჩაძე“;
- შპს - „პოლიგლოტი“;
- შპს - ჟურნალისტიკა - სამართალმცოდნეობის კოლეჯი;
- ასოციაცია „მესხეთი - 2001“;
- შპს - ქართული მუსიკალური ფოლკლორის ინსტიტუტი;

- შპს - „მაკოტო“;
- შპს - ქუთაისის ხელ. და პედაგოგიკის ინსტიტუტთან არსებული არასახელმწიფო საერო ზ/ს მესამე საფეხურის პროფ. სკოლა;
- შპს - „ათინათი - 2005“ დ. აღმაშენებლის სახ. საშუალო სკოლა - ლიცეუმი;
- შპს - დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარა“;
- ი. მ. „შალვა კბილაშვილი“;
- შპს - „კარიბჭე“;
- შპს - „სოალი“;
- სპს - „ჰარმონია“;
- სსიპ - ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი;
- შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
- შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი;
- კავშირი „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია“;
- შპს - „მომავლის იმედი“;
- შპს - პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრი;
- შპს - ფერადის უნივერსიტეტი;
- შპს - „ედელვაისი“;
- ასოციაცია „რუსთავის გონივრული განვითარების ცენტრი „სანთელი“;
- შპს - „ბუკი“;
- შპს - „განათლება და ბიზნესი“;
- შპს - „პრემიერი“;
- შპს - ახალი ქართული სკოლა და კოლეჯი;
- შპს - დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი და დეკორატიული ხელოვნების სკოლა;
- შპს - კომპლექსური მართვის მასწავლებელი;
- შპს - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის საერო სკოლა „საუნჯე“;
- შპს - ვიქტორ ჰიუგოს სკოლა და კოლეჯი;
- შპს - „თამარი“;
- შპს - ქ. თბილისის კერძო მრავალპროფილიანი სამსაფეხურიანი საშუალო სკოლა „მზევარი“;
- შპს - „ნანა“;
- შპს - „ევრას“ დიმიტრი ყიფიანის სახ. სკოლა - პანსიონი;
- შპს - ლიცეუმი „იბერია“;
- შპს - სკოლა - გიმნაზია „მარიამი“;
- შპს - „იმედი ღვთისა“;
- შპს - ზუკა“;
- შპს - „ლემა“;
- შპს - „ია“;
- სპს - „ეჯიბია და კომპანია“;
- შპს - „სინათლე“;
- შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა - გიმნაზია;
- შპს - BC - ბრიტანული ცენტრი;
- შპს - ხარისხის მართვის უნივერსიტეტი;
- კავშირი - საქართველოს სპორტული საზოგადოება „მართვე“;
- შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“;
- შპს - თბილისის სოფლის მეურნეობისა და აგროსაინჟინრო სერვისის ინსტიტუტი;

- შპს - „ელიკრიტონი“;
- შპს - მრავალპროფილიანი სასწავლო დაწესებულება „მნათობი“;
- შპს - „თაობა“;
- ი. მ. „მზია დაუშვილი“;
- კავშირი საქართველოს პროფესიონალ მოცეკვავეთა სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია;
- შპს - „მშენებელი XXI“;
- კავშირი - ქუთაისის მენეჯერთა სასწავლებელი;
- შპს - მრავალპროფილიანი კოლეჯი „პირამიდა“;
- შპს - „კავკასიური კოლეჯი“;
- შპს - „იბერია“.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. საბჭოს წევრებსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონიათ. სხდომის თავმჯდომარემ დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა „სწავლის ძირის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა სწავლის ძირის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა სწავლის ძირის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, საჯარო რეესტრში მიმდინარეობდა დაწესებულების ფართის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები, რაც ამ ეტაპისთვის არ იყო დასრულებული. პრობლემის არსი კი მდგომარეობდა იმაში, რომ სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა სწავლის ძირის ერთ-ერთ დამფუძნებლად სადამფუძნებლო დოკუმენტებში მითითებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რაც მნიშვნელოვან პრობლემას ქმნიდა. სწორედ ამ საკითხის გამო ვერ ხერხდებოდა პრობლემის დროული გადაწყვეტა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა უახლოეს პერიოდში გადაწყდებოდა და ითხოვა ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემის გარკვევამდე საკითხზე მსჯელობის გადადება იყო შესაძლებელი, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები. თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენლებს ამ საკითხით დაინტერესება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა სწავლის ძირის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადადებულ იქნეს სპს - „ხელოსანი“ – 95 კერძო საშუალო სკოლა სწავლის ძირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

2. შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლაში მოქმედ კათედრებს არ აქვთ სამუშაო გეგმა და დებულება. დაწესებულებამ 2011 წლის 27 დეკემბრის წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-13270) წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

1.2 კლასის/საგნის სასწავლო პროგრამების მიხედვით არ დგინდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გადაცემა. სასწავლო პროგრამა, ძირითადად, ორი სახისაა, კერძოდ, გარკვეული საგნების სასწავლო პროგრამები შედგება მხოლოდ სასწავლო წლის შინაარსისაგან - თემის დასახელება, საათების რაოდენობა და შენიშვნა, ხოლო ზოგში გაწერილია მხოლოდ მიზნები, წინაპირობები, სწავლების ფორმატი, შეფასება, სავალდებულო ლიტერატურა, დამატებითი ლიტერატურა, სწავლის შედეგები და არ გააჩნია სასწავლო წლის შინაარსი.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მექანიზმი არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ყველა კლასის ყველა საგნის სასწავლო გეგმებისა და შეფასების მექანიზმი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 შენობის მე-3 სართულზე მდებარე ფართში განთავსებულნი არიან დევნილები, რის გამოც აღნიშნული ფართით სკოლა, ფაქტობრივად, ვერ სარგებლობს. სკოლას გაფორმებული აქვს 796 კვ.მ.-ზე იჯარის ხელშეკრულება, რომელიც რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში, რადგან შპს - სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შენობა დაყადაღებულია 01.07.2003 წელს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს მიერ. დაწესებულებამ 2011 წლის 22 დეკემბერს წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-13165) წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 01.17.11.027.013), რითაც დასტურდება, რომ დაწესებულება ფლობს 796 კვ.მ. ფართს იჯარის წესით 2017 წლამდე.

2.2 სპორტული დარბაზის გამოსაცვლელი ოთახი არის სარემონტო.

2.3 შპს - „ჯეო-დეკორთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სკოლას საკუთრებაში გადაეცა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორია. გადახდილია თანხის 30%. 2011 წლის 20 დეკემბრის მიღება ჩაბარების აქტ იდან და საგადახდო დავალებებიდან ირკვევა, რომ სკოლას გადაეცა შემოადნიშნული ლაბორატორია და თანხა სრულად არის დაფარული.

2.4 ექსპერტთა ვიზიტის დროს, ბიბლიოთეკაში სრულად ვერ მოხერხდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფირებული სახელმძღვანელოების მოძიება. ბიბლიოთეკას არ აქვს საინვენტარო წიგნი, რის გამოც ვერ მოხერხდა წიგნადო ფონდის რაოდენობის დადგენა.

წარმოდგენილი იქნა 2011 წლის 18 ნოემბრის მიღება ჩაბარების აქტი ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების გადაცემის შესახებ. აგრეთვე, საინვენტარიზაციო წიგნის ასლი, რომლითაც დგინდება, რომ სკოლის ბიბლიოთეკა, 2011 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 1017 ერთეულ წიგნს.

2.5 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეთათვის. აღნიშნულის მოწესრიგება გათვალისწინებულია სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმით. სკოლამ წარმოადგინა პანდუსის დამზადების შესახებ სასაქონლო ზედნადები და ფოტო დადასტურება, რომლითაც დგინდება, რომ სველი წერტილები ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთათვის.

2.6 სკოლის ვებგვერდი www.lampari.at.ua დამუშავების პროცესშია (იხსნება მხოლოდ მთავარი გვერდი). გადამოწმდა 2012 წლის 4 იანვარს და საიტი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

2.7 ექსპერტთა ვიზიტის დროს, საევაკუაციო გეგმა არ იყო გამოკრული. დაწესებულებამ წარმოადგინა საევაკუაციო გეგმა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტითა და საგადახდო დავალებით.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

3.1 სკოლას არ ჰყავს ცეკვის მასწავლებელი.

3.2 ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ჟურნალისტის კვალიფიკაციის მქონე ეკა კამკამიძე, ფიზიკას - ინჟინერ-ელექტრიკოსი ნინო მახაროზიძე, მათემატიკას - ინჟინერ-ელექტრიკოსი ალა ჭარელაშვილი, რუსულ ენას - გერმანული ენის სპეციალისტი მარინა კობახიძე, ხელოვნებას - დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე მარინა ჩინჩალაძე. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ფიზიკის მასწავლებლად დაინიშნა კარინა ნერსესიანი (კვალიფიკაცია ფიზიკა, სპეც. მყარი ცხეულების ფიზიკა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად - ნათია გაბიტაშვილი (არარუსულ სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად - ქეთინო ენუქიძე (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ცეკვის პედაგოგად - გვანცა რაზმაძე (ქორეოგრაფიული სკოლა - სტუდია "სუხიშვილების" დიპლომი 4-წლიანი სწავლების კურსის გავლის შესახებ), მათემატიკის პედაგოგად - ანა კოსტავა (მათემატიკის სპეციალობით - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საბჭოს წევრის რუსუდან ტყემელაშვილის თქმით ყველა ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო.

თვმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება. დაწესებულების ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ეთანხმებოდა წარმოდგენილ მოსაზრებებს.

ანა კლდიაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა გამოსწორებული ის ხარვეზი, რომელიც დაფიქსირდა ხელოვნების მასწავლებელთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემაც გამოსწორებული იყო, რისი მტკიცებულებაც საქმეში იყო წარმოდგენილი, რასაც დაეთახმა ცენტრის წარმომადგენელი.

დავით კახნიაშვილი დაინტერესდა თუ რამდენი წელი არსებობდა სკოლა და ასევე მოსწავლეთა რაოდენობა რამდენი იყო.

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა 10 წელია ფუნქციონირებს. 2008 წელს დევნილების სკოლის შენობაში შემოსვლის გამო უამრავი პრობლემა ჰქონდა სკოლას, რის გამოც კომპიუტერები, ბიბლიოთეკა და სხვა ინვენტარი დაიკრგა. აღნიშნულის აღდგენაც ნელ-ნელა მოახდინა დაწესებულებამ. ამჟამად სკოლაში 91 მოსწავლე სწავლობს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნა აღმოფხვრილი იყო, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 140-ით განსაზღვრა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და კითხა, თუ რამდენი ინდივიდუალური მერხი ჰქონდათ მათ.

სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლას ამ ეტაპზე 140 ინდივიდუალური მერხი ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მხოლოდ დოკუმენტაციით მხოლოდ 118 მერხი დასტურდებოდა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, პეტრე წურწუმისა, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 118 მოსწავლისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 118-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 206111955) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 118-ით.

3. შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდღარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდღარი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მდებარეობს ქ. თბილისში, ბაბუციძის ქუჩა №12-ში. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, დაწესებულების სარგებლობაშია 594 კვ.მ. ფართი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა მანანა გაბათაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებამ დამატებით შეიძინა კიდეც ერთი კომპიუტერი. აღნიშნულის დასადასტურებლად მან საბჭოს წევრებს წარუდგინა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 500-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 245- მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდღარის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 245-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - დამოუკიდებელ სკოლა „მოდვარს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 208156261) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 245-ით.

4. შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით :

1.1 სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში გურამიშვილის გამზ. №64-ში, რომელთან დაკავშირებითაც გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება მესაკუთრესთან. ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ამჟამად, დაწესებულება ფლობს რვასართულიანი შენობის მე-7 და მე-8 სართულს, საერთო ფართობით 800.00 კვ.მ. და ჟაკარდული წარმოების თავისუფალ ფართს 160.00 კვ.მ. -ს. დაწესებულებაში არ იქნა წარმოდგენილი შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შპს - ხიხანი მრავალპროფილიანმა საშუალო სკოლამ ავტორიზაცია მიიღო 560 კვ.მ. ფართის ფლობის პირობებში, ხოლო 21 დეკემბრისათვის სკოლამ დაიმატა შენობის მე-8 სართული. ვიზიტის დროს გადამოწმდა 560 კვ.მ-ის (მე-7 სართული) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

1.2 დაწესებულები ს საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 110 ინდივიდუალური მერხითა და სკამით (60 ინდივიდუალური და 55 ორადგილიანი მერხი). ორი საკლასო ოთახი არის ერთამნეთში გამავალი.

1.3 დაწესებულება იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 160 კვ.მ. ფართს სპორტდარბაზისათვის, რომელიც დაშორებულია სკოლიდან დაახლოებით 100-150 მეტრით. აღნიშნული დარბაზი არ თბება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იყენებენ 4 გამათბობელს. დარბაზს არა აქვს გასახდელი. აქვე აღსანიშნავია, რომ დარბაზის ერთი მხარე მთლიანად მინისაა, შესაბამისად, უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ფანჯრები იყოს დაცული რაიმე სახის კონსტრუქციით და თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩამტვრევით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები. დარბაზში იყო ფრენბურთის ბადე, ჭადრაკის დაფა, კალათბურთის ფარები, რომლებიც არ იყო დამონტაჟებული.

1.4 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არა აქვს ალტერნატიული წყარო. დაწესებულებას აქვს 3 სველი წერტილი, რომლებიც არ არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა.

1.5 დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არის მწირი. ბიბლიოთეკარის განცხადებით, არსებობს წიგნების აღწერის ელექტრონული ვერსია. თუმცა ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერი არ იყო გამართული, არ ჩაირთო, შესაბამისად, აღნიშნული ვერ გადამოწმდა. არ იქნა წარმოდგენილი საინვენტარიზაციო წიგნი. წარმოებდა ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების აღწერა. წიგნები არ იყო დამუშავებული შესაბამისი წესით.

1.6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულებაში არ არის პანდუსი. სკოლას აქვს ლიფტი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

1.7 სკოლაში, დირექტორის განმარტებით, 234 მოსწავლეა და დოკუმენტაციის მიხედვით აქვს 13 (ცამეტი) ცალი კომპიუტერი, რომელთაგან 2 განთავსებული დირექტორის მისაღებში და მხოლოდ ერთი მათგანი არის უზრუნველყოფილი ინტერნეტით. ერთი კომპიუტერი არის ბიბლიოთეკაში, რომელიც ვიზიტის დროს გაფუჭებული იყო და არ ჩაირთო. 7 კომპიუტერი არის - კომპიუტერულ კლასში და უზრუნველყოფილია ინტერნეტით. 6 კომპიუტერი - მეორე კომპიუტერულ კლასში, სადაც არ იყო ინტერნეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის მინიჭების დროს დაწესებულება ფლობდა 10 (ათი) კომპიუტერს და შესაბამისად, მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 200-ით. ამდენად, დაწესებულება არღვევს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას.

1.8 სკოლაში არის ექთნის კაბინეტი, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო აღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებას არა აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

1.9 სკოლას გააჩნია 4 უსაფრთხოების კამერა. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ 3 მათგანი არის საატესტატო გამოცდებზე გამოსაყენებელი ტიპის კამერები, ხოლო ერთი აკონტროლებს სათადარიგო გასასვლელს. ეს უკანასკნელი შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებას. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი შესასვლელი არ კონტროლდება. ზემოთხსენებული გარე კამერის ჩვენება არ ფიქსირდებოდა სკოლის შესაბამის მონიტორზე. არ იქნა წარმოდგენილი დანარჩენი კამერების ტექნიკური პასპორტები.

სკოლას შპს - "ჯესკო ჯგუფისაგან" შესყიდული აქვს 7 კამერა. აღნიშნული რაოდენობის კამერა არ იყო დამონტაჟებული სკოლაში.

1.10 სასკოლო სასწავლო გეგმაში ხელით იყო გადასწორებული საათობრივი დატვრითვა და საგნობრივი ჩამონათვალი.

1.11 დარღვეულია საკლასო ჟურნალის წარმოების წესი, კერძოდ:

ა) მე-11 ა კლასში, სადაც 34 მოსწავლეა, ქართულის გაკვეთილზე მასწავლებელს შევსებული ჰქონდა საკლასო ჟურნალი შევსებული იყო 24 დეკემბრის ჩათვლით (ვიზიტი განხორციელდა 21 დეკემბერს). ჟურნალში, პირველ კომპონენტში (საშიანო დავალება) ეწერა 3 ნიშანი, მეორე კომპონენტში (საკლასო დავალება) ეწერა 5 ნიშანი, მაშინ როდესაც აღნიშნული მოსწავლეები არ ესწრებოდნენ გაკვეთილს. ანალოგიური სიტუაციაა მე-12 ა კლასის ინგლისურის გაკვეთილზე.

ბ) მე-12^ა კლასში ესწრებოდა ერთი მოსწავლე 36-დან; მე-12^ბ კლასში - 4; მე-12^გ და მე-12^დ კლასებში მოსწავლეები საერთოდ არ იყვნენ (სკოლაში არ იყო ჟურნალები. დირექტორის განმარტებით, მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალები წაღებული აქვთ დამრიგებლებს სახლში).

გ) მე-10^ა კლასის ჟურნალში ისტორიის საგანში სემესტრული ნიშნები გამოყვანილი და შეტანილი იყო შესაბამის გრაფებში. გაკვეთილს 17 მოსწავლიდან ესწრებოდა - 7. 10 მოსწავლეს არ ეწერა "არა". 11^ა კლასში 33 მოსწავლიდან ესწრებოდა 3, ხოლო 30 - ს არ ეწერა "არა". სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დამფუძნებელმა აკაკი დუმბაძემ, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების შენობის აზომვითი ნახაზი გამოკრული იყო სკოლის შენობაშივე, რის შესახებ ინფორმაცია ექსპერტებს არ მოუთხოვიათ. მან განმარტა, რომ სკოლა იჯარის ხელშეკრულების

თანახმად ფლობდა სპორტულ მოედანს, რომელშიც განთავსებული იყო 4 გამათბობელი და შენობაში სავარჯიშო გათვლილი მინიმალური ტემპერატურა იყო. სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ ის მინა, რითაც დაფარული იყო სპორტული დარბაზის შენობა გახლდათ მაღალ მოდულიანი, რომელიც იყო გათვლილი მნიშვნელოვანი დარტყმისათვის.

დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, სკოლას არ ჰქონდა ელექტროენერგიის ალტერნატიული საშუალება, რასაც ის არ ეთანხმებოდა. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა გენერატორი, რომელიც მოთავსებული იყო სარდაფში, რადგანაც არ იყო მისი გამოყენების აუცილებლობა ამ ეტაპისათვის. ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით აკაკი დუმბაძემ განაცხადა, რომ აკლდა წიგნები, რომელიც ამ ეტაპისათვის სკოლას გააჩნდა და ბიბლიოთეკა შევსებული იყო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც წარმოდგენილ იქნა საბჭოზე.

დაწესებულების ხელმძღვანელი არ დაეთანხმა ექსპერტთა დასკვნაში მითითებულ მონაცემებს, თითქმის სკოლაში იყო 13 კომპიუტერი. მისი განმარტებით, სკოლა ფლობდა 16 კომპიუტერს, რომელთაგან ყველა იყო ჩართული ინტერნეტში.

დამფუძნებლის თქმით სკოლას ყავდა ექთანი, ხოლო პირველადი დახმარების მედიკამენტები გახლდათ ექთნის კაბინეტში. სკოლის დამფუძნებელმა გამოთქვა მოსაზრება მანდატურის სამსახურთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლას ყავდა დაცვის სამსახური, ჰქონდა უსაფრთხოების კამერები და არ თვლიდა საჭიროდ მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმებას აუცილებლად.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს უკვე არაერთხელ ჰქონდა ნამსჯელი მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულებსი გაფორმების აუცილებლობაზე და საბჭო მიიჩნევს, რომ უსაფრთხო სკოლის კონცეფციიდან გამომდინარე მანდატური გახლავთ სწორედ იმ უნარების მფლობელი, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს სკოლაში წესრიგის დაცვა. საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს კიდევ ერთხელ დაედასტურებინა ყავდა თუ არა სკოლას მანდატური. დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით სკოლას მანდატური არ ყავდა.

სკოლის დამფუძნებელმა განმარტა, რომ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა ვიდუო თვალით. სკოლის ძირითად შესასვლელში დამონტაჟებული იყო ვიდუოთვალი, ასევე აღნიშნა, რომ გაკვეთილების შემდეგ მთავარი შესასვლელი იკეტებოდა. დამფუძნებლის თქმით, სკოლას 7 ვიდუო თვალი ჰქონდა, რომელიც იყო შეძენილი შპს - ჯესკო ჯგუფისგან. რისი აქტიურად გამოყენება ხდებოდა შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად.

სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ იმ შენიშვნას, რომელიც შეეხებოდა სკოლაში ბავშვების არ ყოფნასთან დაკავშირებით ეთანხმებოდა, თუმცა ეს ფაქტი მან გაამართლა იმით, რომ ექსპერტთა ვიზიტი სკოლაში განხორციელდა სემესტრის ბოლოს, რა დროსაც ბავშვები ტრადიციულად ნაკლებად დადიან ხოლმე სკოლებში.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით ხომ არ სურდათ აზრის დაფიქსირება.

ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ გათვალისწინებულია თუ რა მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების კამერები. დაწესებულებაში არსებული კამერები ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში გათვალისწინებული კამერა საერთოდ არ იყო ჩართული.

ექსპერტის განმარტებით სკოლაში ფაქტობრივად ნახეს 16 კომპიუტერი, თუმცა მათგან, 13-ის ფლობა დასტურდება.

დავით კახიასვილმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით გამოსაყოფია დაწესებულებაში მოსწავლეთა განსაზღვრულ კონტიგენტზე მეტი მოსწავლის ყოლა. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მოსწავლეთა ადგილების

ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰყავდა 200 მოსწავლე, ექსპერტთა ვიზიტის დროს კი აღმოჩნდა, რომ სკოლაში 234 მოსწავლე სწავლობდა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ ჰყავდა სკოლას ამდენი მოსწავლე თუ მას მხოლოდ 110 ინდივიდუალური მერხი უფიქსირდებოდა.

აკაკი დუმბაძის განმარტებით სკოლას 110 ინდივიდუალური და 55 ორადგილიანი მერხი ჰქონდა, რომელსაც იყენებდა სკოლა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიშვლმა სთხოვა დაწესებულების ხელმძღვანელს განემარტება, თუ რატომ არ ეწერათ არები იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რა თქმა უნდა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, თუმცა ამ ფაქტის გამო მან შესაბამის პირებს პასუხისმგებლობა დააკისრა.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ პეტრე წურწუმიამ განმარტა, რომ დაწესებულებებს, რომელთაც გარკვეული ხარვეზები ჰქონდა, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განემარტათ, რომ ცენტრი გადაამოწმებდა დაწესებულების პირობებს ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, რაც ამ შემთხვევაში განხორციელდა კიდევ. ავტორიზაციის დროს სკოლის მიმართ გათვალისწინებულ იქნა შეღავათები და ხარვეზები უნდა აღმოფხვრილიყო დაუყოვნებლივ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ოცი წუთით სხდომაზე გამოცხადებულიყო შესვენება. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარის შეთავაზებას.

20:45 გამოცხადდა შესვენება.

21:05 საბჭოს სხდომა განახლდა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ არსებობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა, რომელსაც იზიარებდნენ საბჭოს წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხიხანი მრავალპროფილიან საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204955708) გაუქმდეს ავტორიზაცია.

5. სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში სარაჯიშვილის ქუჩა №17-ში, რომელთან დაკავშირებითაც გაფორმებულია ქვეიჯარის ხელშეკრულება მესაკუთრესთან. ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (საკადასტრო კოდი №01.11.05.034.011). დაწესებულება ფლობს შენობის მე-5 სართულს, კერძოდ, 640 კვ.მ -ს. დაწესებულებაში არ იქნა წარმოდგენილი შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, თუმცა სპს - ცოდნა ნათელა მურადაშვილი ფლობს შენობის მე-5 სართულს მთლიანად, რომლის ყველა ოთახი სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო საჯარო რეესტრის მონაცემებს და დაადასტურდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული საერთო ფართი შედგენს 640 კვ.მ.-ს.

1.2 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 145 ინდივიდუალური მერხითა (ორადგილიანი მერხები ჩაითვალა ერთადგილიანად) და სკამით. სკოლის დირექციის განმარტებითა და დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ორადგილიანი მერხები გადაკეთდა ერთადგილიანად. აღნიშნულის დამადასტურებელი ფინანსური გადარიცხვის საბუთი სკოლამ ვერ წარმოადგინა.

დაწესებულებას სპორტის სახეობად არჩეული აქვს ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. მაგიდის ჩოგბურთის ერთი ცალი მაგიდა განთავსებულია კიბის უჯრედის თავზე. გამოყოფილი ფართი ვერ უზრუნველყოფს მაგიდის ჩოგბურთის სრულფასოვან სწავლებას.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში ფიქსირდება, რომ დაწესებულებამ აიღო სპორტული მოედნის მოწყობის ვალდებულება, რომელიც ვიზიტის დროის არ იყო შესრულებული.

1.3 სკოლა არ ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობას. შენობის მესაკუთრესთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სკოლა სარგებლობს მათ საკუთრებაში არსებული ლაბორატორიით. ეს უკანასკნელი შემოწმდა და დადგინდა, რომ არ შეესაბამება ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანების მე-2 დანართით დამტკიცებულ რეკომენდაციებს.

1.4 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ალტერნატიული წყარო. დაწესებულებას აქვს 2 სველი წერტილი (გოგონებისა და ბიჭებისათვის), რომლებიც მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სანიტარულ ნორმებს. ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებით დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 160-ით, შესაბამისად, 2 სველი წერტილი, საჭიროების შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს მინიმალური სანიტარული ნორმების დაცვას. სკოლა თბება ელექტრო ღუმელებით. ზოგიერთი ღუმელი ვერ უზრუნველყოფს საკლასო ოთახის სათანადოდ გათბობას.

გამოყოფილია ოთახი ბუფეტისათვის, თუმცა არსებული ინვენტარი ვერ უზრუნველყოფს მის სათანადოდ ფუნქციონირებას.

1.5 დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდი, მხატვრული ლიტერატურით. ბიბლიოთეკას არა აქვს წიგნადი ფონდის კატალოგი, აქვს ინვენტარიზაციის წიგნი. წიგნები არ იყო დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესების სრული დაცვით. ბიბლიოთეკა არ თბებოდა. წიგნები დალაგებული იყო ანბანური და თემატური ნიშნით და გამოყოფილი იყო სასკოლო სახელმძღვანელოები.

1.6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე თათვის დაწესებულებაში არის პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წვდომას შენობაში. სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები.

1.7 სკოლას, დირექტორის განცხადებით, ამჟამად ჰყავს 99 მოსწავლე და დოკუმენტაციის მიხედვით აქვს 7 (შვიდი) ცალი კომპიუტერი, რომელთაგან 4 განთავსებულია სკოლის კომპიუტერულ კლასში, ერთი - სამსწავლებლოში, ერთი - დირექტორის ოთახში, ერთი - სასწავლო ნაწილთან. აღნიშნული რაოდენობიდან ერთი არ იყო ინტერნეტში ჩართული. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 160-ით. ვიზიტის დროს არსებული კომპიუტერების რაოდენობა არ შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ ოდენობას.

1.8 სკოლას არ გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლას ხანძარსაწინააღმდეგო დაფაზე იყო მიმაგრებული ძველი ცეცხლმაქრი, რომელიც იყო გახვრეტილი. ვიზიტის დასრულების დროს სკოლამ წარმოადგინა ყუთებში ჩაწყობილი 3 ცეცხლმაქრი, რომელთა ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. სკოლის სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შედგენილი და დამტკიცებულია შენობის მესაკუთრის მიერ. სკოლაში არ არის ექთნის კაბინეტი და არ ჰყავს ექიმი. შენობის მესაკუთრესთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, სკოლას შეუძლია ისარგებლოს კოლეჯის მედ-პუნქტით, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე, თუ მათ მიერ შეძენილი იქნება მედიკამენტები. სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ 2011 წლის 21 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

1.9 სკოლას გააჩნია ერთი უსაფრთხოების კამერა, რომელიც დამონტაჟებულია დერეფანში. ვერ იქნა წარმოდგენილი კამერის ტექნიკური პასპორტი.

1.10 სკოლაში დარღვეული იყო საკლასო ჟურნალის წარმოების წესები, კერძოდ, მე-12 კლასის ჟურნალში არ იყო შეტანილი აბიტურის მეცადინეობები და ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები.

1.11 სკოლაში ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. დირექტორისა და სასწავლო ნაწილის განმარტებით, მიმდინარეობდა საგამოცდო კვირა და ვიზიტის დღეს გამოცდა ჩატარდა რუსულსა და გერმანულში. წარმოდგენილი იქნა 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო კალენდარი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რომლის მიხედვითაც საგამოცდო კვირის გამო საათები აკლდება საგნობრივ დატვირთვას.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ შენიშვნებს. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილს იზიარებდა.

სკოლის დირექტორმა ნათელა მურადაშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ დაწესებულებას დამზადებული ჰქონდა 101 ინდივიდუალური მერხი, 16 ორადგილიანი მერხი კი გადაკეთდა ერთადგილიანად. მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა დასკვნაში იყო უზუსტობა, კერძოდ, ნაცლვად 145 ინდივიდუალური მერხისა, სკოლას გააჩნდა 153 ერთადგილიანი მერხი. აღნიშნულის დასადასტურებლად ნათელა მურადაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საკუთრებაში რეალურად იყო 8 კომპიუტერი. ნათელა მურადაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ჰქონდა 8 კომპიუტერის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა განთავსებული იყო შენობის მე-5 სართულზე. სკოლის დერეფანს აკონტროლებდა ერთი უსაფრთხოების კამერა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია.

სველ წერტილებთან მიმართებით ნათელა მურადაშვილმა აღნიშნა, რომ ერთი წერტილის ფართი იყო 32 კვ.მ. მეორე კი - 36 კვ.მ. რეგულარულად ხდებოდა მათი სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში უსაფრთხოების დაცვა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან 2011 წლის 21 დეკემბრიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.

რაც შეეხება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებას შენობის მესაკუთრესთან გაფორმებული ჰქონდა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ აღნიშნული ლაბორატორიით იმ შემთხვევაში, თუ მათი სასწავლო ცხრილები არ დაემთხვა ერთმანეთს. სკოლის დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ მან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება შპს - ინსტა ჯორჯიასთან საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შეძენის თაობაზე.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ შენიშვნას სასკოლო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით სრულად იზიარებდა და უმოკლეს დროში გამოასწორებდა.

სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით ნათელა მურადაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებას სპორტის სახეობად არჩეული აქვს ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა განთავსებული იყო კიბის უჯრედის თავზე (33 კვ.მ). სკოლის დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ მას ავტორიზაციის საბჭოს წინაშე აღებული ჰქონდა ვალდებულება სპორტული მოედნის მოწყობის თაობაზე. დღესდღეობით სკოლას გაკეთებული ჰქონდა მხოლოდ სარბენი ბილიკი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნის მოწყობა ჯერ-ჯერობით დასრულებული არ იყო.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეხუთე სართულამდე სკოლას დამონტაჟებული ჰქონდა პანდუსები.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ დაასრულა სკოლამ სასწავლო პროცესი დადგენილ ვადაზე ადრე. ნათელა მურადაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დასრულდა ერთი კვირით ადრე. 2012 წლის მარტიდან კი სკოლა გადავიდოდა 6 დღიან სწავლებაზე და დარჩენილი 1 კვირა აღნიშნულის ხარჯზე იქნებოდა ანაზღაურებული. დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, აღნიშნულის თაობაზე იყო თუ არა სკოლის სასწავლო გეგმაში მითითება გაკეთებული. სკოლის დირექტორმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო სათანადო ჩანაწერი და დამატებით არსებობდა სკოლის დირექტორის ბრძანებაც.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ პეტრე წურწუმიამ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინაშე ცენტრის სახელით წარადგინა რეკომენდაცია, რომ სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსასწორებლად მისცემოდა 14 დღიანი ვადა. პეტრე წურწუმიამ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნულ ვადაში სკოლას ცენტრში უნდა წარმოედგინა ხარვეზების გამოსწორების შესახებ სათანადო დოკუმენტაცია.

აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას საკმაოდ ბევრი ხარვეზი უკვე გამოსწორებული ჰქონდა, თუმცა დარჩენილი იყო რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც ასევე საჭიროებდნენ სკოლის მხრიდან გამოსწორებას. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია შპს - ინსტა ჯორჯიას 14 დღის ვადაში ვერ მოესწრო სკოლაში ლაბორატორიული აღჭურვილობის შეტანა, თუმცა ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სკოლას აღნიშნულ ვადაში გადახდილი უნდა ჰქონდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ღირებულების 100%.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს სპს - ნათელა მურადაშვილისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

6. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერულ საშუალო სკოლას ქ. თბილისში, გოგებაშვილის № 26-ში, უმრავი ქონების მესაკუთრე - კახაბერ გელენიძესთან დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წლის 1 ივნისამდე, 24 საათიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 145.90 კვ. მ. ფართი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ასევე, გოგებაშვილის № 21/55 - ში, ფიზიკურ პირ - ეკატერინე ერისთავთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, უფლებამოსილია ისარგებლოს დარბაზით (37 კვ.მ.) და სასადილოთი (28 კვ.მ.), რომელთა ფართი შეადგენს 65 კვ.მ.-ს. თუმცა, ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, მოცემული ფართით სარგებლობის უფლება არ დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას დუშეთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულება ქ. დუშეთში, სტალინის ქ. № 27-ში მდებარე საკრებულოს ადმინისტრაციის შენობის მეორე სართულზე მდებარე ფართზე - 101.34 კვ.მ.. თუმცა, ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, მოცემული ფართით სარგებლობის უფლება არ დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. გოგებაშვილის 26-ში მდებარე, სკოლის I კორპუსი, მოიცავს შენობის II, III და IV სართულებს. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოყოფილია 7 საკლასო ოთახი, რომლებიც არის ერთმანეთზე გამავალი და აღჭურვილია 29 ცალი ინდივიდუალური, 11 ცალი ორადგილიანი მერხითა და სასკოლო დაფით;

1.2 სკოლას ავტორიზაციის მიღების შედეგად განესაზღვრა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა - 80 მოსწავლით, თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა 83 მოსწავლე;

1.3 სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი;

1.4 სკოლას არ გააჩნია ლაბორატორია. 2011 წლის 06 სექტემბერს სკოლას გაფორმებული აქვს №გეო-031 ხელშეკრულება შპს - „ჯეო დეკორთან“, თუმცა ლაბორატორია არ არის მიწოდებული და სკოლას გადახდილი აქვს მხოლოდ 1000 (ათასი) ლარი;

1.5 სკოლაში გათბობის საშუალებად გამოიყენება ელექტრო ქურები (8 ცალი), რომლებიც ვერ უზრუნველყოფს სკოლის გათბობას. დაწესებულებას აქვს ასევე ორი კონდენციონერი „ზამთარ-ზაფხული“, რომელთაგან ერთი არ მუშაობს;

1.6 ბიბლიოთეკის საძიებო სისტემა არის თემატური, წიგნები არ არის დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესით;

1.7 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის;

1.8 სკოლას აქვს 1 კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში. სკოლას არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი.

1.9 სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი, თუმცა იგი არ არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით. სკოლას არ ჰყავს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი;

1.10 სკოლას აქვს ორი კამერა. ერთი მათგანი აკონტროლებს შიგა პერიმეტრს, მეორე სართულის ნაწილს, ხოლო მეორე - გარე პერიმეტრს. შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერა არ არის მუშა მდგომარეობაში, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერის პარამეტრების შესაბამისობის დადგენა სტანდარტით განსაზღვრულ ტექნიკურ მონაცემებთან ვერ მოხერხდა, ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა კამერის ტექნიკური მახასიათებლები;

1.11 ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა მანდატური.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ შენიშვნებს. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილს იზიარებდა.

სკოლის დირექტორის მანანა ტარიელაშვილის განცხადებით მას ხარვეზები გამოსწორებული ჰქონდა. მისი განმარტებით, ავტორიზაციის მიღების შემდეგ დაწესებულებამ დაიწყო ახალი ფართის ძიება, რომელიც უკვე სკოლას გააჩნია, რაც შეეხება იჯარის ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმებულია დუშეთის ფართთან დაკავშირებით, რადგანაც ის ერთ წელზე ნაკლები ვადით იყო დადებული, შესაბამისად არ იყო საჯარო რეესტრში გატარებული. მანანა ტარიელაშვილმა წარმოადგინა თბილისში არსებულ 330 კვ.მ ფართთან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო ფართის ფლობის დროს ეყრდნობოდა, მხოლოდ საჯარო რეესტრში დაფიქსირებულ მონაცემებს.

სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლამ 2011 წლის 21 დეკემბერს საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თბილისში არსებულ ფართში სკოლას უკვე ჰყავდა მანდატური, დუშეთის ფართზე კი მანდატურები 2012 წლის პირველი მარტიდან იქნებოდნენ. ლაბორატორიების ფლობასთან დაკავშირებით, მანანა ტარიელაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას ახალ ფართზე მიწოდებული ჰქონდა ლაბორატორიები, რასთან დაკავშირებითაც ჰქონდა წარმოდგენილი საბჭოსთვის მიღება-ჩაბარების აქტი.

ცენტრის წარმომადგენელმა ნინო ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტის მიხედვით სკოლას ლაბორატორია სრულად არ ჰქონდა მიწოდებული.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ საბოლოო ანგარიშსწორება ლაბორატორიებთან მიმართებით, მოხდებოდა 2012 წლის 1 მარტისთვის, რა დროსაც იქნებოდა ლაბორატორია სრულად მოწოდებული.

სპორტულ მოედანთან დაკავშირებით მანანა ტარიელაშვილის განცხადებით აღმოფხვრილი იყო ის შენიშვნა, რაც ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირდა. სკოლის ახალ შენობაში სპორტული დარბაზისთვის გაცილებით დიდი ფართი იყო გამოყოფილი.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის კუთვნილი 4 კომპიუტერი, სკოლას ჰქონდა შესაკეთებლად წაღებული, რის გამოც ის ექსპერტებს ადგილზე არ დახვდათ.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან უხერხული იყო ის ფაქტი, რომ სკოლის სახელწოდებაში ფიქსირდებოდა „კომპიუტერული საშუალო სკოლა“ და მას მხოლოდ 4 კომპიუტერი ჰქონდა. დავით კახნიაშვილის თქმით, განსაკუთრებით საპრობლემოდ მიაჩნდა, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის გადაჭარბებამ, მოსწავლეთა ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ პეტრე წურჭუმიამ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინაშე ცენტრის სახელით წარადგინა რეკომენდაცია, რომ შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერულ საშუალო სკოლას ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსასწორებლად მისცემოდა 10 დღიანი ვადა. პეტრე წურჭუმიამ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნულ ვადაში სკოლას ცენტრში უნდა წარმოედგინა ხარვეზების გამოსწორების შესახებ სათანადო დოკუმენტაცია.

აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას საკმარის ბევრი ხარვეზი უკვე გამოსწორებული ჰქონდა, თუმცა დარჩენილი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა, რომლებიც ასევე საჭიროებდნენ სკოლის მხრიდან გამოსწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 10 დღის ვადა.

7. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1.მატერიალური რესურსი

1.1 შპს “ახალი ქართული გიმნაზია“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლებით ფლობს თბილისში, გლდანის დასახლების “ა” მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთს 2005.00 კვ.მ და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას საერთო ფართობით 1565.73 კვ.მ. ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;

აღნიშნული ფართი მდებარეობს სსიპ თბილისის 136-ე საჯარო სკოლის ყოფილ შენობაში, რომელიც იზოლირების თვალსაზრისით საჯარო სკოლის შენობიდან გამიჯნული არის მხოლოდ რკინის კარით. სკოლას შიდა ეზო საერთო აქვს საჯარო სკოლასთან.

სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, სარემონტო მდგომარეობაში. პირველ სართულზე ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებულია კომპიუტერული ოთახი.

1.2 სკოლის მფლობელობაში არსებული ფართი აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, ორადგილიანი მერხებით (საერთო ჯამი - 150), სასკოლო დაფებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია მატერიალური რესურსის კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობის თაობაზე.

1.3 სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. სკოლის პირველ სართულზე არის 52.68 კვ.მ. ფართის ოთახი, რომელიც სკოლის დირექტორის განმარტებით განკუთვნილია აღმოსავლური ორთაბრძოლებისათვის.

1.4 შპს - ახალ ქართულ გიმნაზიას არ გააჩნია ლაბორატორია, სკოლას გაფორმებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულება (გადახდილია თანხის 10% - 1 150 ლარი) შპს - „ჯეო-დეკორთან“, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის, საერთო დანიშნულების სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობაზე.

1.5 დაწესებულებაში არ არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. დაწესებულებამ წარმოადგინა 136-ე საჯარო სკოლის დირექტორთან ელზა ბადაშვილთან დადებული შეთანხმება ელექტროენერგიის მიწოდების თაობაზე (ასეთივე შეთანხმება არსებობს წყალთან, გაზთან და გათბობის სისტემასთან დაკავშირებით), თუმცა შეთანხმება არ არის გაფორმებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.6 სკოლაში სულ ექვსი საპირფარეშოა (I, II, III სართულზე ორ-ორი), მაგრამ ელემენტარული სანიტარული ნორმები დაცულია მხოლოდ პირველ სართულზე განთავსებულ საპირფარეშოში.

1.7 სკოლის ბიბლიოთეკას გააჩნია მხოლოდ ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი.

1.8 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეათვის. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს

მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის შეუძლებელი იქნება საკლასო ოთახებში მოხვედრა, რადგან სკოლაში არ არის ლიფტი და პანდუსი. სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები.

1.9 გიმნაზიაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა 7 კომპიუტერი, ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტში.

1.10 ცეცხლმაქრი განთავსებულია მხოლოდ სკოლის პირველ და მეორე სართულზე, მესამე და მეოთხე სართულზე არ არის განთავსებული ცეცხლმაქრები. სკოლას ასევე არ აქვს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულების დირექტორმა, მარინე არაბულმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ სკოლაში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა მოულოდნელად, შესაბამისად ადგილზე არ იყო სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ მან ცენტრში წარმოადგინა ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომ არ ინახებოდა სკოლაში არ იყო მართებული. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მას აღნიშნული ფაქტით კანონი არ დაურღვევია. მარინე არაბულმა ავტორიზაციის საბჭოს დამატებით მოახსენა, რომ საბუღალტრო დოკუმენტაცია ინახებოდა სკოლაში.

დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 1998 წლიდან. ყოველი წლის ბოლოს ხდებოდა სკოლის მატერიალური რესურსის ინვენტარიზაცია. მარინე არაბულის განმარტებით, ვიზიტის დროს მან აღნიშნული დოკუმენტაცია გააცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში უსაფრთხოების კამერები დამონტაჟებული ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ იოსებ სალუქვაძემ განმარტა, რომ საბჭო წარმოდგენილ დოკუმენტაციას ადგილზე ვერ შეამოწმებდა. იოსებ სალუქვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გააცნო თუ არა აღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტებს.

ავტორიზაციის ექსპერტის დავით ჭეიშვილის განმარტებით, მართალია სკოლას გააჩნდა უსაფრთხოების კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია, თუმცა მასში არ იყო მოცემული ინფორმაცია აღნიშნული კამერების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საინვენტარიზაციო წიგნითა და საგადახდო დავალებებით დასტურდებოდა იმ რაოდენობის მატერიალური რესურსის ფლობა, რამდენიც ექსპერტთა დასკვნაშია მითითებული.

სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლას სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის არ ჰყავდა ექიმი, თუმცა გააჩნდა პირველადი დახმარების მედიკამენტები. ავტორიზაციის საბჭოს წევრების გაიანე სიმონიასა და დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, სკოლას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის უნდა ჰყავდეს სათანადოდ მომზადებული პერსონალი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლაში სანიტარული ნორმების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემაზე, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სკოლაში ელემენტარული სანიტარული ნორმები დაცული იყო მხოლოდ პირველ სართულზე განთავსებულ სველ წერტილში.

სკოლის დირექტორმა შემდეგ შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას აუზთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სკოლის მოსწავლეებს უტარდებოდათ ცურვის გაკვეთილები. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს - ახალი ქართული გიმნაზიას 2011 წლის 24 ოქტომბრიდან თბილისის

წყალკანალათან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება და რეგისტრირებული იყო, როგორც დამოუკიდებელი აბონენტი. სკოლის დირექტორის განმარტებით ერთადერთ პრობლემას წარმოადგენდა ელექტროენერგიის მოწოდება.

გათბობის დამოუკიდებელი სისტემის არქონასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიასთან მიდიოდა მოლაპარაკებები და აღნიშნულ პრობლემას უმოკლეს დროში მოაგვარებდა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ კერძო სკოლას საჯარო სკოლისგან დამოუკიდებლად ჰქონდა ბუნებრივი აირის მრიცხველი და დამოუკიდებლად იხდიდა გადასახადებს. მარინე არაბულმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ შპს - ახალი ქართული გიმნაზია უახლოეს მომავალში დაასრულებს საკუთარი საქვების მშენებლობას და დაწესებულებას ექნება 136-ე საჯარო სკოლისგან დამოუკიდებელი გათბობის სისტემა.

მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზაურ ხვედელიძემ კითხვით მიმართა შპს - ახალი ქართული გიმნაზიის დირექტორს, რამდენად კანონიერი იყო ის ფაქტი, რომ სკოლას ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის მიწოდების თაობაზე შეთანხმება ჰქონდა დადებული თბილისის 136-ე საჯარო სკოლასთან. ზაურ ხვედელიძის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის გარეშე დაუშვებელია საჯარო სკოლამ თავისი რესურსებით სარგებლობის უფლება მისცეს სხვა დაწესებულებებს. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მას ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე პეტრე წურწუშია დაინტერესდა რა პირობებით მიჰყიდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შპს - ახალ ქართულ გიმნაზიას 136-ე საჯარო სკოლის შენობის ნაწილი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული ფართის შესყიდვა მოხდა 2011 წლის აგვისტოს თვეში და ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენდა 100 000-იანი ინვესტიციის განხორციელება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 22:19 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 22:50 საათზე.

სკოლის დირექტორმა მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, რომ თუ კი ისინი სკოლას მისცემდნენ შანსს და არ გაუუქმებდნენ ავტორიზაციას, დაწესებულება ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ ყველა შენიშვნას გამოასწორებდა. სკოლის დირექტორის განმარტებით ერთადერთ პრობლემას, რომელსაც უმოკლეს დროში ვერ გამოასწორებდნენ იყო დამოუკიდებელი გათბობის სისტემის ქონა, რადგან საქვების აშენება მოითხოვს გარკვეულ დროს. სხდომის თავმჯდომარემ იოსებ სალუქვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა სკოლას გათბობის სხვა ალტერნატივა. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ საკლასო ოთახების გათბობა შესაძლებელი იყო ელექტრო ღუმელების მეშვეობითაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალი ქართული გიმნაზიისთვის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

8. შპს - სკოლა - გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას აქვს 14 საკლასო ოთახი. ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 171 ინდივიდუალური მერხითა და სკამით. კლასები არის ვიწრო, რიგ შემთხვევაში ერთმანეთზე გამავალი, ხოლო მეორე სართულზე განლაგებული სკოლის ოთახების ნაწილი მოკლებულია ბუნებრივი განათების შესაძლებლობას;

1.2 დაწესებულებას სპორტის სახეობად არჩეული აქვს: ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ცურვა. მაგიდის ჩოგბურთის ერთი ცალი მაგიდა განთავსებულია სკოლის მცირე ზომის სააქტო დარბაზში სცენის წინ, შესაბამისად, სკოლაში არ არის შექმნილი პირობები ჩოგბურთის გაკვეთილის ჩასატარებლად. საკუთარი აუზი დაწესებულებას არ გააჩნია, მას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საცურაო აუზ „დელფინთან“, თუმცა სკოლას არ უდასტურდება აუზით სარგებლობა, მათ შორის არ იყო წარმოდგენილი აღნიშნული აუზით სარგებლობისათვის გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ამასთან, სკოლას უკანა მხარეს აქვს მცირე ზომის ეზო, სადაც სკოლის შენობის კედელზე დამონტაჟებულია კალათბურთის ფარი. დირექციის განცხადებით, ჩვეულებრივ პირობებში მოსწავლეები თამაშობენ კალათბურთს, ხოლო წვიმიან ამინდში მაგიდის ჩოგბურთს. აქვე აღსანიშნავია, რომ კალათბურთის ფარი რამდენიმე სანტიმეტრით არის დაშორებული სკოლის დერეფნის ფანჯრებიდან, შესაბამისად, უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ფანჯრები იყოს დაცული რაიმე სახის კონსტრუქციით და თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩამტვრევით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები;

1.3 სკოლას შეძენილი აქვს შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა (208 დასახელება) და გადახდია სრული თანხა 13 800 ლარი, რომლის შესაბამისი დადასტურება - გადახდის დამადასტურებელი ქვითრების სახით, დაწესებულებამ 2011 წლის 14 დეკემბერს №02-8965 წერილით წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

1.4 დაწესებულებას აქვს სველი წერტილები, რომლებიც მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს;

1.5 სკოლას დოკუმენტურად და ვიზუალური დათვალიერებით უდასტურდება 9 ელექტრო გამათბობლის ფლობის ფაქტი, თუმცა ელექტრო გამათბობლები ვერ უზრუნველყოფს სკოლის გათბობას;

1.6 სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები;

1.7 სკოლას ამჟამად ჰყავს 160 მოსწავლე და დოკუმენტაციის მიხედვით აქვს 9 ცალი კომპიუტერი, ხოლო ადგილზე დაფიქსირდა 8 ცალი. აღსანიშნავია, რომ კომპიუტერულ კლასში განთავსებული კომპიუტერები არ არის ჩართული ინტერნეტში.

1.8 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.9 სკოლას არ გააჩნია უსაფრთხოების კამერები.

დაწესებულების დირექტორმა ნინო ოქროჯანაშვილმა განმარტა, რომ სკოლას აუზთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, თუმცა დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა მიყვანას აღნიშნულ აუზზე. ნინო ოქროჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა მეორე სემესტრიდან უზრუნველყოფდა მოსწავლეთა აუზზე ტრანსპორტირებას.

სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს დაწესებულების ბუღალტერმა წარუდგინა ძველი გამათბობლების შეძენის დოკუმენტაცია. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა 2011 წლის 10 ოქტომბერს გამათბობლების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად, დაწესებულებას ჰქონდა 24 გამათბობელი.

ნინო ოქროჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდა 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. დაწესებულების პირველ სართულზე დამონტაჟებულია პანდუსი. აღნიშნული მოსწავლეების კლასები და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სკოლის დირექციამ განათავსა შენობის პირველ სართულზე. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გადაადგილდნენ შენობის პირველ სართულზე.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ჰყავდა ექიმი და გამოყოფილი იყო ცალკე ოთახი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო 3 მანდატური. ორი მათგანი უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, ერთი - კი ასწავლიდა მოძრაობის უსაფრთხოების წესებს. სკოლის დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან სკოლას არანაირი დავალიანება არ ჰქონდა. ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ღირებულებაც სრულად იყო გადახდილი.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებას სკოლის გამოსაშვები გამოცდებისთვის ჰქონდა ვიდეო კამერები, რომლებიც ამჟამად დამონტაჟებული იყო მანდატურის ოთახში. ნინო ოქროჯანაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტები დაწესებულებაში იყვნენ დღის მეორე ნახევარში და მანდატურები სკოლაში აღარ იყვნენ. შესაბამისად, ვერ მოხერხდა მანდატურის ოთახის გაღება საიდანაც ვიდეო კამერების მეშვეობით კონტროლდება სკოლის შენობა. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ 2012 წლის 3 იანვარს სკოლამ დამატებით დადო ხელშეკრულება ვიდეო კამერების შეძენის თაობაზე. აღნიშნულის დასადასტურებლად ნინო ოქროჯანაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ვიდეო კამერების შეძენის ღირებულების გადახდის ქვითარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი, რომელიც ეხებოდა სკოლის დერეფნის ფანჯრებზე უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე დამცავი კონსტრუქციის დამაგრებას, კვლავ არ იყო გამოსწორებული.

მომხსენებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები სველ წერტილებთან და ვიდეო კამერებთან დაკავშირებით არ იყო გამოსწორებული.

მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზაურ ხვედელიძემ აღნიშნა, რომ ამჟამად თვალშისაცემი იყო შპს - სკოლა-გიმნაზია პირველის საკლასო ოთახების სივიწროვე. დაწესებულების

დირექტორმა განმარტა, რომ საკლასო ოთახებს შეუნაცვლეს ადგილები და საკლასო ოთახში მერხების განლაგება შეცვალეს.

ავტორიზაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთ კომპიუტერი იყო ინტერნეტში ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

9. შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას 2011 წლის 17 ივლისს დადებული აქვს ხელშეკრულება 12000 (თორმეტი ათასი) ლარის ღირებულების ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგიის ლაბორატორიის შეძენაზე. ამ ეტაპზე სკოლას მიღებული აქვს ლაბორატორიის სრული შემადგენლობის 2/3, ხოლო გადახდილი აქვს საერთო ღირებულების 1/3 – 2000 ლარი.

1.2 სკოლაში სველი წერტილები არის მხოლოდ პირველ სართულზე, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. სკოლაში გათბობის საშუალებად გამოიყენება ელექტრო გამათბობლები (12 ცალი), რომლებიც ვერ უზრუნველყოფს სკოლის გათბობას.

1.3 ბიბლიოთეკაში არ არის ანბანური ან თემატური კატალოგი, წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული ბიბლიოგრაფიულად. ბიბლიოთეკაში არის ერთი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი.

1.4 სკოლის მთავარ შესასვლელში არ არის პანდუსი, თუმცა შენობის პირველ სართულზე მოხვედრა შესაძლებელია შენობის უკანა მხარეს არსებული შემოსასვლელიდან, საიდანაც შესაძლებელია საკლასო ოთახში მოხვედრა, თუმცა შეუძლებელია სსსმ მოსწავლის წვდომა ფიზიკულტურის ოთახში, კომპიუტერების ოთახსა და ლაბორატორიაში, რომლებიც შენობის მეორე სართულზეა განლაგებული. სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები.

1.5 დაწესებულებაში დაფიქსირდა ჯამში 8 ცალი კომპიუტერი, თუმცა ამჟამად დაწესებულებას ჰყავს 202 მოსწავლე.

1.6 სკოლაში ცეცხმაჭრი არის მხოლოდ შენობის მეორე სართულზე. სკოლაში არის სამედიცინო ოთახი, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით; თუმცა არ არის შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

1.7 სკოლის შიდა პერიმეტრზე არ არის დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები. გარე პერიმეტრის კამერა სკოლას შეძენილი აქვს, თუმცა ვიზიტის დროს იგი არ იყო დამონტაჟებული, ასევე სკოლამ ვერ წარმოადგინა კამერის ტექნიკური მონაცემები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი შესაბამისობის დადგენა სტანდარტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პარამეტრებთან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა ლაბორატორიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლაში ლაბორატორიის მიწოდება განხორციელდა სამ ეტაპად. ამ დროისათვის გადახდილია სრული ღირებულების 2/3, რაც შეადგენს 8000 ლარს, ხოლო დანარჩენი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს თებერვლის ბოლომდე.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მართლაც არ იყო დამონტაჟებული კამერები, თუმცა მათ შეძენილი აქვთ გარე პერიმეტრის კამერა, რომელიც 5 მეგაპიქსელიანია და რომლის ტექნიკური მახასიათებლები სტანდარტს აკმაყოფილებს. რაც შეეხება შიდა პერიმეტრის კონტროლს, დაწესებულება გეგმავს 7 კამერის დამონტაჟებას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ კამერის ტექნიკური მახასიათებლები, რომლითაც დგინდება მისი შესაბამისობა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან, ითვალისწინებს მოთხოვნებს, რომლებიც არ უკავშირდება მხოლოდ 5 მეგაპიქსელის არსებობას.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენაც, ეკუთვნოდა თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია დაწესებულების საკუთრებაში არსებულ კამერას, რაც უნდა დადგენილიყო თავად კამერის პასტპორტით.

შემდეგ შენიშვნებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში არის მოწესრიგებული სველი წერტილები, ხოლო რაც შეეხება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარს, 2007 წელს სკოლამ შეიძინა 6 ცეცხლმაქრი, რომელიც განათავსა პირველ და მეორე სართულებზე.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, თუმცა ამ ეტაპისთვის ხარვეზი გამოსწორებულია. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, სკოლას არ ჰყავდა ბიბლიოთეკარი. თუმცა, ამ ეტაპისათვის, სკოლას უკვე ჰყავს თანამშრომელი, რომელმაც გაიარა შესაბამისი კურსები და ეტაპობრივად მოხდება ბიბლიოთეკის მოწესრიგება.

კომპიუტერებთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისათვის დამატებით შეძენილია 4 კომპიუტერი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად გამოსწორებისათვის დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

10. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას აქვს ლაბორატორია (208 დასახელების), თუმცა ჯერ არ მომხდარა ლაბორატორიის ყუთებიდან ამოღება, ვინაიდან აუცილებელია ყუთის გახსნის პროცესს ესწრებოდეს ხელშეკრულების ორივე მხარე, რათა შესაძლო ნაკლიანი ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლას ჰქონდეს უფლება მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება. ექსპერტთა ვიზიტიდ დროს, დაწესებულებას არ ჰქონდა გადახდილი სრულად ლაბორატორიის ღირებულება, გადახდილი იყო მხოლოდ 3 200 ლარი, ხოლო დარჩენილი 8 800 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო 31 დეკემბრამდე;

1.2 დაწესებულებას აქვს ხის მოძრავი პანდუსი, თუმცა იგი ვერ უზრუნველყოფს ადაპტირებული გარემოს არსებობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, სსსმ მოსწავლეს ექნება წვდომა მხოლოდ დირექციასა და ბიბლიოთეკასთან. ასევე, სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები;

1.3 სკოლას არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი. სკოლას აქვს საინფორმაციო ხასიათის ბლოგი - <http://gdss.wordpress.com/>;

1.4 სკოლაში არ არის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები;

1.5 სკოლას არ ჰყავს მანდატური.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას უკვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა დასკვნაში პანდუსის თაობაზე დაფიქსირებულ შენიშვნას და განაცხადა, რომ ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ შეაკეთა პანდუსები.

რაც შეეხება ლაბორატორიას, დაწესებულების მიერ გადახდილია 8000 ლარი, შესაბამისად, თანხა არ არის სრულად დაფარული, თუმცა ლაბორატორია სკოლას მიღებული აქვს.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 15 დეკემბერს, შესაბამისად, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდათ თუ არა მათ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდებოდა მათთვის ლაბორატორიის სრული შემადგენლობის მიწოდების ფაქტი. ამასთან ხელშეკრულების პირობების თანახმად, თანხის სრულად დაფარვა უნდა მომხდარიყო 31 დეკემბრამდე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ ლაბორატორიის ნაწილი მიიღეს 25 ნოემბერს, ხოლო ნაწილი 20 დეკემბერს. რაც შეეხება თანხის გადახდის ვადებს, არსებობდა ზეპირი შეთანხმება, რომლის თანახმად, გადახდის ვადის გადავადება მოხდა 2012 წლის 15 იანვრამდე.

შემდეგ შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა ბლოგი wordpress-ზე, თუმცა იგეგმება ვებგვერდის გაკეთება.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში ამ დროისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ ამ ეტაპზე ჰყავდათ 75 მოსწავლე.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად გამოსწორებისათვის დაწესებულებისათვის 10 დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 10 დღის ვადა.

11. შპს - „ივერიონის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1.მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს „ივერიონის“ კერძო სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში ჭყონდიდელის ქ. №26 მდებარე შენობაში, რომლის საერთო ფართი შეადგენს 927 კვ.მ.-ს, თუმცა საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოირკვა, რომ სკოლის საკლასო ოთახების ფართი არ იძლევა საშუალებას, რომ განთავსდეს ავტორიზაციით განსაზღვრული კონტიგენტის შესაბამისი (230 მოსწავლისათვის) საჭირო სასკოლო ინვენტარი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დაფიქსირდა 109 ერთეული ინდივიდუალური მერხი.

1.2 სკოლას 2011 წლის 26 დეკემბერს აქვს გაფორმებული №გეო-035 ხელშეკრულება შპს - „ჯეო დეკორთან“ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ანატომიის და საერთო დანიშნულების საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული აღჭურვილობა 208 დასახელების შესყიდვის თაობაზე. ლაბორატორიის საერთო ღირებულება შეადგენს 12 000 (თორმეტი ათას) ლარს.

2011 წლის 7 დეკემბერს შპს - ივერიონსა და შპს - „ჯეო დეკორს“ შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, საიდანაც ირკვევა, რომ „შემსყიდველს“ მიეწოდა 11871 ლარის (თერთმეტი ათას რვაას სამოცდათერთმეტი) ღირებულების საქონელი. ამასთან, დაწესებულების განმარტებით მიწოდებული საქონლის ნაწილი იყო ნაკლის მქონე (დამტვრეული) და არსებობდა ზეპირი შეთანხმება „მიმწოდებელთან“ ნაკლის მქონე ნივთების შეცვლის თაობაზე. შესაბამისად, სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ლაბორატორია სრული სახით (208 დასახელება).

ლაბორატორიის საფასური ასევე არ არის სრულად გადახდილი. 2011 წლის 13 ოქტომბერს ავანსად გადარიცხულია 2700 ლარი. დაწესებულების დირექტორთან ინტერვიუების შედეგად, დგინდება რომ სკოლა აპირებს შეთანხმების გაფორმებას შპს „ჯეო დეკორთან“ დარჩენილი თანხის განაწილვადების თაობაზე. თუმცა, ხელშეკრულების მე-6 პუნქტის 6.2 ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია დარჩენილი თანხა (70 %) დაფაროს საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 საბანკო დღის განმავლობაში.

1.3 დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის დროს დოკუმენტურად დაუდასტურდა 12 კომპიუტერის ფლობის ფაქტი, თუმცა ადგილზე დაფიქსირდა 14 კომპიუტერი. ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტში.

1.4 სკოლას არ აქვს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორი დაეთანხმა ყველა შენიშვნას, რომელიც გამოთქმულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და აღნიშნა, რომ ყველა ხარვეზი იქნა გამოსწორებული, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც საბჭოზე წარმოადგინა.

სკოლის დირექტორის თქმით, სკოლის შენობაში დამონტაჟებულ იქნა პანდუსი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოდგენილ იქნა. მისი განმარტებით, ასევე გადახდილ იქნა უსაფრთხოების კამერების თანხა და შესაბამისი დოკუმენტაციაც ჰქონდა წარმოდგენილი. რაც შეეხება ლაბორატორიას, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკით დაწესებულებამ გადაიხადა 5300 ლარი, დარჩენილ თანხას კი 1 მარტამდე დაფარავდა. ლაბორატორიის მომწოდებელმა კომპანიამ გამოცვალა რამდენიმე გაფუჭებული ინვენტარი. ასევე განმარტა დირექტორმა, რომ სკოლას უკვე 14 კომპიუტერი ჰქონდა.

პეტრე წურწუმიამ აღნიშნა, რომ სკოლას მანამდე ჰქონდა პრობლემები მანდატურის სამსახურთან თანხის გადახდასთან დაკავშირებით, თუ სკოლა არ ეყოლებოდა მანდატური, სკოლის პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი დადგებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყველა ხარვეზი გამოსწორებული ჰქონდა და შესაძლებელი იყო პირდაპირ დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის დაყენება, რასაც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ივერიონის“ ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - „ივერიონის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

12. შპს - სკოლა-ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1.მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში, შეეჩენკოს ქ. №5-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე, საერთო ფართობით - 203.00 კვ.მ.

აღსანიშნავია, რომ იმავე ფართობი, არის უცხო ენების მრავალპროფილიანი სასწავლებელი და საშაბათო სკოლა, სადაც მიმდინარეობს სწავლება სკოლა ფენიქსის გაკვეთილების შემდეგ. სკოლას მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება სამივე საფეხურზე, თუმცა ამჟამად ახორციელებს მხოლოდ მესამე საფეხურს და ჰყავს ჯამში 17 მოსწავლე;

1.2 სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი;

1.3 ბიბლიოთეკაში წიგნები განლაგებულია კარადებში და გატარებულია საინვენტარო წიგნში, თუმცა წიგნები არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო პრინციპით. ბიბლიოთეკაში არ არის ანბანური კატალოგი;

1.4 სკოლაში არის 5 კომპიუტერი, რომელთაგან 4 ჩართულია ინტერნეტში. სკოლას არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი;

1.5 სკოლას არ აქვს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლას გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ;

1.6 დაწესებულებას შიდა პერიმეტრზე არ აქვს დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერა. გარე პერიმეტრის გაკონტროლების უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შ.პ.ს. „აი-ეს-ეი სერვის“-ისგან შეძენილი აქვს ერთი კამერა, რომლის პარამეტრები შეესაბამება სტანდარს, თუმცა კამერა ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო შეერთებული მონიტორზე, დაწესებულების განმარტებით იგი მიერთებული იყო ჩამწერ მოწყობილობაზე.

1.7 ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა მანდატური.

სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა რუსუდან ციციშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას საკალათბურთო გუნდთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს - სკოლა ფენიქსის მოსწავლეებს აღნიშნულ დარბაზში ჩაუტარდებოდათ სპორტის გაკვეთილები.

სხდომის თავმჯდომარემ იოსებ სალუქვაძემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის 2012 წლის 6 იანვარს გაგრძელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

სხდომა გაგრძელდა 2012 წლის 6 იანვარს.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობდა წიგნების ელექტრონული კატალოგი. ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ელექტრონულ კატალოგთან ერთად სკოლაში უნდა არსებობდეს ბეჭდური კატალოგიც, რათა იგი უფრო ხელმისაწვდომი იყოს რაც შეიძლება მეტი მოსწავლისთვის.

რუსუდან ციციშვილმა აღნიშნა, რომ შპს - სკოლა ფენიქსს ჰქონდა ვებგვერდი. მომხსენებელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვებგვერდი ფუნქციონირებდა, თუმცა იგი იყო სხვა სუბიექტის საკუთრებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა დამოუკიდებელი ვებგვერდი. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს - სკოლა ფენიქსს ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხანმარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღეისათვის უსაფრთხოების კამერები დაწესებულებაში უკვე დამონტაჟებული იყო და წარმოადგინა კამერების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რუსუდან ციციშვილის განმარტებით, სკოლამ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან 2011 წლის 27 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი ხელშეკრულება. ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში შემოსასვლელის სრულად გასაკონტროლებლად საჭირო იყო დამატებით კიდევ ერთი უსაფრთხოების კამერის დამონტაჟება.

დავით ჭეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლა ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. მისი აზრით, შპს - სკოლა - ფენიქსის სარგებლობაში არსებული ფართი (203 კვ.მ.) იყო არასაკმარისი, რათა განეხორციელებინა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა - ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - სკოლა - ფენიქსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

13. შპს „აისის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის ქუჩა №47-ში, რომელთან დაკავშირებითაც გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება მესაკუთრესთან. ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (საკადასტრო კოდი №01.14.03.035.004). დაწესებულება ფლობს შენობის საერთო ფართიდან 1091,00 კვ.მ. დაწესებულებაში არ იქნა წარმოდგენილი შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, თუმცა შპს - „აისი“ ფლობს შენობის მე-5 სართულს მთლიანად, რომლის ყველა ოთახი სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო საჯარო რეესტრის მონაცემებს და დადასტურდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული საერთო ფართი შედგენს 1091,00 კვ.მ.-ს.

1.2 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 182 ინდივიდუალური და 46 ორადგილიანი მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამებით. კლასებში არის ბუნებრივი განათება. 2 კლასი არის ერთმანეთზე გამავალი.

1.3 სასწავლო გეგმიდან არ ჩანს სპორტის რომელი სახეობა ისწავლება სკოლაში, რადგან საგნად მითითებულია „სპორტი“. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სპორტში მოიაზრება ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და კრივი. მაგიდის ჩოგბურთის ერთი ცალი მაგიდა განთავსებულია სკოლის მცირე ზომის ოთახში. აგრეთვე, გამოყოფილია ოთახი კრივისათვის და ჭადრაკისათვის. კრივის ოთახი აღჭურვილია მცირე რაოდენობის ინვენტარით, ხოლო ჭადრაკის ოთახში იყო 14 ცალი ჭადრაკის დაფა ფიგურებით. აღნიშნული ოთახები არ თბება. სკოლაში არის სააქტო დარბაზი.

დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის წერილი, რომლის თანახმადაც, სკოლის მიმდებარე სპორტული მოედანი არის საზოგადოებრივი და მისით სარგებლობა შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე. სკოლამ, დამატებით, წარმოადგინა კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარის თანხმობა შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც, შპს - „აისი“ კვირაში 3-ჯერ (ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი - 13-15 საათებში) ჩაატარებს სპორტის გაკვეთილებს.

1.4 დაწესებულებას აქვს სველი წერტილები, რომლებიც მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სანიტარულ ნორმებს. ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებით დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 280-ით, შესაბამისად, 2 სველი წერტილი, საჭიროების შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს მინიმალური სანიტარული ნორმების დაცვას.

1.5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულების

შესასვლელში არის ჩამონტაჟებული პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წვდომას შენობის პირველ სართულზე. რადგან სკოლა განთავსებულია შენობის მე- 5 სართულზე,

სკოლაში მოსახვედრად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ლიფტი. ლიფტის ზომები ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლის დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ უზრუნველყოფს.

1.6 სკოლამ ვერ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, რომელთა რაოდენობა, სკოლის დირექტორის განმარტებით, არის დაახლოებით 10. სკოლამ წარმოადგინდა სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შაბლონური ვერსია, რომელიც არ იყო შევსებული.

1.7 პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის სკოლას ჰყავს ექიმი, თუმცა, სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები. გაწერილია ფუნქციები და ხშირ შემთხვევაში ფუნქციები და მექანიზმები არეულია ერთმანეთში. მსგავსი სიტუაციაა ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმთან დაკავშირებით. სკოლაში 2008 წლის 26 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შექმნილია საგანგებო სიტუაციათა და თავდაცვის ოპერატიული შტაბი. მსგავსი მექანიზმების არსებობის მოთხოვნა ფიქსირდება ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის წერილში, რომლითაც მიმართა შპს - "აისს".

1.8 სკოლას აქვს 5 უსაფრთხოების კამერა, რომელთაგანაც 2 საატესტატო გამოცდებისათვის იქნა შეძენილი და დამონტაჟებულია კომპიუტერულ კლასში, სადაც ჩატრდა 2011 წლის საატესტატო გამოცდები. ხოლო 3 -ის პარამეტრები ვერ დადგინდა, რადგან არ იქნა წარმოდგენილი ტექნიკური პასპორტები.

1.9 სკოლის სასწავლო გეგმაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგნები არეულია ერთმანეთში. მაგალითად, რუსული ენა შეტანილია, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი, მაშინ როდესაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია უცხო ენები.

1.10 შეფასების სისტემა იყო ზოგადი და ბუნდოვანი, საჭიროებს დახვეწას.

1.11 ვიზიტის დროს მე -12 კლასის მოსწავლეთა მიმდინარე შეფასებები საჯაროდ იყო გამოკრული სკოლის დერეფანში.

1.12 საკლასო ჟურნალებში არ იყო შეტანილი მოსწავლეთა ამორიცხვის შესახებ ბრძანების რეკვიზიტები.

1.13 სკოლაში დარღვეული არის საკლასო ჟურნალის წარმოების წესები, კერძოდ:

ა) არ არის აღრიცხული გაკვეთილზე არმყოფი მოსწავლეები (მე-8 კლასი - მათემატიკა. არ ესწრებოდა 4 მოსწავლე; მე-10 კლასი - სამოქალაქო განათლება. 20 მოსწავლიდან არ ესწრებოდა 10);

ბ) არაა დაჯამებული ყოვლდღიური შეფასებები და გაცდენები (მე-10 - მე-11 კლასის ჟურნალები);

გ) რიგ საგნებში საერთოდ არ არის ნაწარმოები ჟურნალები 24 ნოემბრიდან (მე-11 კლასი საგანი ქიმია; მე-9 კლასის ბიოლოგია).

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სპორტის სახეობად არჩეული ჰქონდა მაგიდის ჩოგბურთი, კრივი და ჭადრაკი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნასთან დაკავშირებით სკოლის იურისტმა აღნიშნა, რომ ინტერნეტიდან მოიძიეს გადასაადგილებელი სხვადასხვა ეტლის ზომები და დაადგინეს, რომ უმრავლესობა ეტლების სიგანის ზომა არ აღემატება 52 სმ-მდე. დაწესებულებაში დამონტაჟებული ლიფტის კარი კი იღება 62 სმ-მდე.

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა იანა ტორჩინავამ განმარტა, რომ სკოლას ასეთი მექანიზმები ჰქონდა. მისი აზრით, ექსპერტთა შეფასება, იმის შესახებ, რომ სკოლას სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ფუნქციები და მექანიზმები ჰქონდა არეული, იყო სუბიექტური შეფასება. ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული

უსაფრთხოების მექანიზმები და ფუნქციები განსხვავდებოდა, უბრალოდ არ იყო გაწერილი თუ ვინ ახორციელებდა ამ ფუნქციებს. მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ მექანიზმები გამოყოფილიყო ფუნქციებისგან.

ავტორიზაციის ექსპერტა ჯგუფის შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსული ენა შეტანილი იყო, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანი, სკოლის დირექტორის განმარტებით იყო მექანიკური შეცდომა, რომელიც უკვე გამოსწორებული ჰქონდა.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სრულად იზიარებდა საკლასო ჟურნალებთან დაფიქსირებულ შენიშვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს დამოუკიდებლად, დამხმარე პირის გარეშე ვერ შევიდოდა ლიფტში. თუ კი ასეთი მოსწავლე მოახერხებდა ლიფტში შესვლას, მაშინ ლიფტის კაბინაში არ რჩებოდა დამხმარე პირის ადგილი. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა განმარტა, რომ თუ კი მოსწავლე გადასადგომად საჭიროებს ეტლს, მაშინ მას დამხმარე პირი აუცილებლად ეყოლება. დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ არსებობდა სკოლის დირექტორის ბრძანება მასწავლებლების ლიფტთან მორიგეობის თაობაზე. აღნიშნული მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში სათანადო დახმარებას გაუწევდნენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ სკოლას გარე პერიმეტრის კონტროლისთვის კამერები დამონტაჟებული არ ჰქონდა. შიდა პერიმეტრის კონტროლისთვის დაწესებულებაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები, რომელთაგანაც - 2 დამონტაჟებული იყო საკლასო ოთახში.

რევაზ გულაბაშვილმა უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან კამერების შესაბამისობა უნდა დაედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს. ვინაიდან, სკოლაში დამონტაჟებულ კამერებს არ ჰქონდათ ტექნიკური მახასიათებლების შემცველი დოკუმენტი, შპს - აისის წარმომადგენლებმა მიმართეს ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ პეტრე წურწუმიამ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების კამერას თან ახლავს ინფორმაცია ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. კომპანია, რომელმაც განახორციელა უსაფრთხოების კამერების დამონტაჟება, იმას უნდა მიეწოდებინა სათანადო დოკუმენტაცია ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. აღნიშნული მოსაზრება სკოლის იურისტმა სრულად გაიზიარა. პეტრე წურწუმის მოსაზრებით, უსაფრთხოების კამერების დანიშნულება არის ის, რომ ერთი წერტილიდან სრულად კონტროლდებოდეს მთლიანი შენობის შიდა და გარე პერიმეტრი. გარე პერიმეტრის კამერა უნდა აკონტროლებდეს სკოლის შენობის მოსაზღვრე მთლიან პერიმეტრს. რაც უფრო ფართე პერიმეტრი იქნება გაკონტროლებული კამერების მიერ, მით უფრო სრულყოფილი იქნება სკოლაში უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი. დავით ჭეიშვილმა გაიზიარა ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილის მოსაზრება და დამატებით აღნიშნა, რომ სპორტული მოედანი, რომლითაც უნდა ესარგებლა შპს - „აისის“ მოსწავლეებს, ასევე უნდა გაკონტროლებულიყო უსაფრთხოების კამერის მეშვეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „აისის“ ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - „აისისთვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 10 დღის ვადა.

14. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ოქტომბრამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საუბარია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალზე, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ავტორიზაციის გასაველელად უნდა მოემართათ 2011 წლის ოქტომბრამდე. ცენტრისა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის ნანა ჭილაძის განმარტებით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ სკოლებთან მიმართებით გადამოწმდა ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ ორ სკოლაში შპს - „ნანა“ და შპს - „სპს - ბაგრატიონთა სახელობის კერძო სასწავლებელი სემე და ლუკავა“ სასწავლო პროცესი ამჟამად მიმდინარეობს, რის გამოც საჭიროა გადამოწმდეს ეს სკოლები. ასევე აღინიშნა, რომ შპს - „ბენეფისმა“ სახელი შეიცვალა და იმავე საიდენტიფიკაციო კოდით სხვა სახელწოდების იურიდიულმა პირმა შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსმა გაირა ავტორიზაცია და შესაძლებელი იყო მისი სიიდან ამოღება. რაზეც საბჭოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ოქტომბრამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი.

- შპს - ილიონი;
- შპს - გვირილა;
- შპს - „აიფდიემ სტაილი“;
- შპს - „ინტეგრაცია“;
- შპს - არმაზი XXI;
- კავშირი გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის წალენჯიხის განყოფილება;
- შპს - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახ. სამედიცინო ინსტიტუტი და კოლეჯი;
- სპს - „დათო ბიწაძე“;
- შპს - „სარანგი“;
- შპს - „ანი-ცეტი“;
- შპს - „მადლი“;
- შპს - თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის ცენტრი „პირამიდა“;
- შპს - „მამული“;
- ი.მ. „მარინა გიგიტაშვილი“;
- შპს - „ალ. ყაზბეგის სახ. კერძო გიმნაზია“;
- ი.მ. „ლევან აბაშიძის სახ. სკოლა-სტუდია“;
- შპს - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური კოლეჯი „ჰარმონია“;
- შპს - „ბალავარი“;
- სპს - „მეგალადა“;
- შპს - „გრანდი“;
- შპს - სკოლა-გიმნაზია;
- შპს - „მცირე აკადემია“;
- შპს - „იმპულსი“;
- შპს - ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „ვიტა“;
- შპს - „ლულუ“;

- შპს - „ფიქრი“;
- ი. მ. „აფხაზავა რევაზი“;
- ი. მ. „აღფონს დოდეს სახელობის ქართულ - ფრანგული სკოლა“;
- სპს - „იბერია-იობაშვილი“;
- შპს - ცოდნა XXI;
- შპს - „განათლება“;
- ი.მ. - „დიდი ვარსკვლავი“;
- ასოციაცია „საქართველოს გამოყენებითი ფსიქოლოგიის კავშირი“;
- ასოციაცია „ფრენეს პედაგოგიკის ქართული ასოციაცია“;
- შპს - „ევროპული უნივერსიტეტი“;
- შპს - ქუთაისის ლიცეუმი „პირამიდა“;
- შპს - ჰუმანიტარულ - ტექნიკური უნივერსიტეტი;
- სპს - „პაატა ნინუა“;
- შპს - „თაობა“;
- შპს - „ჯიმარი“;
- შპს - „ოქროს საწმისი“;
- შპს - „ლასკარი“;
- შპს - „ლომისი“;
- შპს - თამაზ მუხამის სახელობის უნივერსიტეტი „ივერია“;
- შპს - ხელვაჩაურის რაიონი, კახაბრის ზ/ს საშუალო სკოლა „ცოდნა 21“;
- შპს - „ევრიკა“;
- შპს - „ცოდნა - მრავალდარგოვანი კოლეჯი“;
- შპს - მრავალპროფილიანი სკოლა - ლიცეუმი „საუნჯე“;
- შპს - სოციო - კულტურული საგანმანათლებლო ცენტრი „სათავეები“;
- შპს - „ცოდნის კარიბჭე“;
- ი. მ. „ბესიკ ბაუჩაძე“;
- შპს - „პოლიგლოტი“;
- შპს - ჟურნალისტიკა - სამართალმცოდნეობის კოლეჯი;
- ასოციაცია „მესხეთი - 2001“;
- შპს - ქართული მუსიკალური ფოლკლორის ინსტიტუტი;
- შპს - „მაკოტ“;
- შპს - ქუთაისის ხელ. და პედაგოგიკის ინსტიტუტთან არსებული არასახელმწიფო საერო ზ/ს მესამე საფეხურის პროფ. სკოლა;
- შპს - „ათინათი - 2005“ დ. აღმაშენებლის სახ. საშუალო სკოლა - ლიცეუმი;
- შპს - დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარა“;
- ი. მ. „შალვა კბილაშვილი“;
- შპს - „კარიბჭე“;
- შპს - „სოალი“;
- სპს - „ჰარმონია“;
- სსიპ - ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი;
- შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
- შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი;
- კავშირი „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია“;
- შპს - „მომავლის იმედი“;

- შპს - პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრი;
- შპს - ფერადის უნივერსიტეტი;
- შპს - „ედელვაისი“;
- ასოციაცია „რუსთავის გონივრული განვითარების ცენტრი „სანთელი“;
- შპს - „ბუკი“;
- შპს - „განათლება და ბიზნესი“;
- შპს - „პრემიერი“;
- შპს - ახალი ქართული სკოლა და კოლეჯი;
- შპს - დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი და დეკორატიული ხელოვნების სკოლა;
- შპს - კომპლექსური მართვის მასწავლებელი;
- შპს - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის საერო სკოლა „საუნჯე“;
- შპს - ვიქტორ ჰიუგოს სკოლა და კოლეჯი;
- შპს - „თამარი“;
- შპს - ქ. თბილისის კერძო მრავალპროფილიანი სამსაფეხურიანი საშუალო სკოლა „მზევარი“;
- შპს - „ევრას“ დიმიტრი ყიფიანის სახ. სკოლა - პანსიონი;
- შპს - ლიცეუმი „იბერია“;
- შპს - სკოლა - გიმნაზია „მარიამი“;
- შპს - „იმედი ღვთისა“;
- შპს - ზუკა“;
- შპს - „ლემა“;
- შპს - „ია“;
- სპს - „ეჯიბია და კომპანია“;
- შპს - „სინათლე“;
- შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა - გიმნაზია;
- შპს - BC - ბრიტანული ცენტრი;
- შპს - ხარისხის მართვის უნივერსიტეტი;
- კავშირი - საქართველოს სპორტული საზოგადოება „მართვე“;
- შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“;
- შპს - თბილისის სოფლის მეურნეობისა და აგროსაინჟინრო სერვისის ინსტიტუტი;
- შპს - „ელიკრიტონი“;
- შპს - მრავალპროფილიანი სასწავლო დაწესებულება „მნათობი“;
- შპს - „თაობა“;
- ი. მ. „მზია დაუშვილი“;
- კავშირი საქართველოს პროფესიონალ მოცეკვავეთა სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია;
- შპს - „მშენებელი XXI“;
- კავშირი - ქუთაისის მენეჯერთა სასწავლებელი;
- შპს - მრავალპროფილიანი კოლეჯი „პირამიდა“;
- შპს - „კავკასიური კოლეჯი“;
- შპს - „იბერია“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებმაც 2011 წლის 1 ოქტომბრამდე არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი გაუუქმდეთ ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 00:50 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი



გ. სიმონია